

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
და ჯანდაცვის ფაკულტეტი ბიოლოგიის
დეპარტამენტი**

თამარ ჭეიშვილი

**იმერეთის რეგიონის ფლორის ენდემების
მრავალფეროვნება, საფრთხეები, კონსერვაცია და
გონივრული გამოყენება**

(წარდგენილი ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად)

სპეციალობა: მცენარეთა ბიომრავალფეროვნება

ანოტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
იზოლდა მაჭუტაძე-ბიოლოგიის
აკადემიური დოქტორი

ბათუმი-2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი

იზოლდა მაჭუტაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უვადო მეცნიერი

ოფიციალური შემფასებლები

ვაგიფ ატამოვი

რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი ბიოლოგიის დეპარტამენტი პროფესორი

ქეთევან დოლიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

ნათელა ვარშანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ნინო მემიაძე

ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი ფლორის და კონსერვაციის განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება ----2021 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი, 6010 ნინოშვილის ქ. №35, უნივერსიტეტის მეორე კორპუსი, მესამე სართული, აუდიტორია №328

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე www.bsu.edu.ge. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ნანა ზარნაძე ასოცირებული პროფესორი

ნ.ზარნაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება თემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა.

ენდემური ფლორის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონალური ფლოროგენეზური პროცესების დადგენისათვის, რაც აადვილებს ფლორის და მცენარეულობის ჩამოყალიბების და შემდგომი განვითარების შეცნობას. იმერეთის ფლორის მრავალფეროვნებას და თავისთავადობას ხელს უწყობს რელიქტური და ენდემური სახეობების შემცველი ფლორისტული კომპლექსები. ენდემურ სახეობათა სიჭარბე ყოველთვის ასახავს, რომ ესა თუ ის რეგიონი ან ქვეყანა ფლორისტულად ორიგინალურია. ამ მხრივ იმერეთის რეგიონიც გამოირჩევა. ასევე ენდემიზმის მაღალი დონე მიგვითითებს იმაზე, რომ ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სახეობათწარმოქმნის ინტენსიური პროცესები, და რომ ესა თუ ის რეგიონი ან ქვეყანა ფლორისტულად ორიგინალურია. ამ პროცესების შესწავლა, ასევე ენდემური სახეობების გეოგრაფიზმის, სისტემატიკური სტრუქტურის და ჰიფსომეტრული გავრცელების თავისებურებათა შესწავლა მნიშვნელოვანია სახეობათა წარმოქმნის ზოგადი კანონზომიერებების გამოვლენისა და შესწავლისათვის. აგრეთვე ამ თავისებურებათა გამოვლენა თითოეული ენდემური სახეობის დაცვის კატეგორიისა და მდგომარეობის სტატუსის დადგენის საფუძველია. (გაგნიძე 1985:11)

უფრო მეტ აქტუალობას იძენს საკითხი, როცა ენდემურ სამკურნალო სახეობებზეა საუბარი. რეგიონისთვის ამ სახეობათა ენდემური ფლორიდან გამორჩევა, შესწავლა და ბაზის შექმნა მეტად მნიშვნელოვანია. სამკურნალო მცენარეების ქიმიური შედგენილობისა და სამკურნალო თვისებების ცოდნის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მცენარეული ნედლეულის გამოყენება ახალი სამკურნალო და პროფილაქტიკური

პრეპარატების მიღებისათვის/ ასევე აქტუალურია ხალხში გაბნეული სამკურნალო ცოდნის შეგროვება და ეთნობოტანიკური მასალების დოკუმენტირება. მით უმეტეს, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წელია ამ საკითხის შესწავლას მცირე ყურადღება ეთმობოდა.

თემის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმერეთში გავრცელებული ფლორის ენდემური სახეობების მონაცემთა ბაზის შექმნა, სახეობათა გეოგრაფიული და სისტემატიკური სტრუქტურის დადგენა, ეკოტოპოლოგიური და ჰიფსომეტრული გავრცელების თავისებურებათა შესწავლა და ანალიზი. რეკომენდაციები იმერეთის ფლორისტული რეგიონის კირქვიანი ჰაბიტატის და კირქვიანი ენდემების კონსერვაციისა და გონივრული გამოყენებისათვის.

ამოცანები. ყოველივე ამასთან დაკავშირებით დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- იმერეთის ენდემური ფლორის სახეობრივი შემადგენლობისა და სისტემატიკური, გეოგრაფიული და ეკოტოპოლოგიური სტრუქტურის დადგენა;
- იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონება;
- იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში ენდემური სახეობების განაწილების კანონზომიერებების დადგენა;
- ენდემურ სახეობათა ჰიფსომეტრული გავრცელების კანონზომიერების დადგენა;
- ანთროპოგენური ზემოქმედების (ტყის ჭრა, საქონლის ძოვება, ხანძრები, ინვაზიური სახეობები) შესწავლა;
- რეკომენდაციები დაცული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნების მქონე ჰაბიტატებისათვის კონსერვაციული სტატუსის მინიჭების აუცილებლობის შესახებ;

- იმერეთში გავრცელებული ენდემური სამკურნალო სახეობების ინვენტარიზაცია, მათი გეოგრაფიული და სისტემატიკური სტრუქტურის დადგენა, ეკოტოპოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა. მცენარეთა ქიმიური შედგენილობის და სამკურნალო თვისებების ლიტერატურული მოძიება და იმერეთის ენდემური სამკურნალო მცენარეთა ბაზის შექმნა. ასევე, იმერეთის რეგიონში არსებული ხალხური სამედიცინო ტრადიციების აღწერა და იმერეთის სხვადასხვა ნაწილში არსებული ტრადიციული სამედიცინო ცოდნის დოკუმენტირება; იმერეთის სხვადასხვა რაიონში მცირე ექსკურსიების ჩატარება და მათ საფუძველზე ეთნობოტანიკური მასალის შეგროვება, სამედიცინო ტრადიციების აღწერა და დოკუმენტირება.
- იმერეთის ენდემური სამკურნალო ფლორის სახეობრივი შემადგენლობისა და სისტემატიკური, გეოგრაფიული და ეკოტოპოლოგიური სტრუქტურის დადგენა. იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებში სამკურნალო ენდემური სახეობების განაწილება. ლიტერატურის მოძიება დამუშავება მცენარეთა სამკურნალო თვისებების არსებობის დადგენის მიზნით.

კვლევის ობიექტი. იმერეთის ენდემური ფლორის სახეობრივი შემადგენლობისა და ცალკეული ენდემური სახეობების არელების დაზუსტებისა და შეწავლისათვის კვლევის ობიექტს შეადგენდა იმერეთის მთელი ტერიტორია. საველე მონაცემების შეგროვება ხდებოდა ძირითადად: ქუთაისის მიდამოებში, „მუხნარის“ ტყეში, სათაფლიის ნაკრძალში, აჯამეთის ნაკრძალში, წყალწითელას ხეობაში, გელათის ტყეში, დოხორას მთაზე, ტყიბულის მიდამოებში, ნაქერალას სამხრეთ ფერდობზე, მთა ცხრაჯვარზე, ყვირილას ხეობაში ხარაგაულთან, ბაღდათის

რაიონში საირმის მიდამოებში, მესხეთის ქედის ჩრდილო კალთაზე(2850მ), ჭიათურის რაიონში და სხვ. ყველა ტიპის მცენარეულ ფორმაციაში, ასოციაციათა ჯგუფებში და სარტყელში ზ.დ. 15მ-დან 2850მ. სიმაღლის ფარგლებში.

კვლევის მეთოდი. ჰაბიტატებისა და მცენარეთა დაფარულობის სიხშირის შესწავლა DAFOR - ის მეთოდით ხორციელდება; სადაც: D-დომინანტი სახეობაა, A-ხშირი, F-მასიური, O-რამდენიმე, და R-იშვიათი. მოცემული ჰაბიტატის სახელწოდებაც დომინანტი სახეობიდან გამომდინარეობს;

- მოცემულ ჰაბიტატში ფიტოცენოზური კვლევისას კვადრატის მეთოდი გამოყენებული. კვადრატების ზომები ასე მერყეობს: 0.01-0.25 მ² ბრიოფიტებისას, 0.25-10 მ² - მარცვლოვნებისა და მაღალბალახეულობისას, და 10- 50 მ² როცა მერქნიანი მცენარეული საფარია.
- ნაშრომში სავსელე კვლევებისას გამოყენებულია Braun-


Blanquetი მეთოდი,

Braun-Blanquet			Domin- Krajina			Baubenmire		
კლასი	დაფარულობა %		კლასი	დაფარულობა %		კლასი	დაფარულობა %	
5	75-100	87.5	10	100	100	6	95-100	97.5
4	50-75	62.5	9	75-99	87.0	5	75-95	85.0
3	25-50	37.5	8	50-75	62.5	4	50-75	62.5
2	5-25	15.0	7	33-50	41.5	3	25-50	37.5
1	1-5	2.5	6	25-33	29.0	2	5-25	15.0
+	<1	0.1	5	10-25	17.5	1	0-5	2.5
r	<<1	+	4	5-10	7.5			
			3	1-5	2.5			
			2	<1	0.5			
			1	<<1	==			

ცხრ. 1. სავსელე კვლევის მეთოდები

- კვლევების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: ადგილსამყოფელის ტიპს, მის ეკოლოგიურ მდგომარეობას, მცენარეულობის დაფარულობას (% ში), სახეობრივ შემადგენლობას, და მათ სიმრავლეს, ცალკეული სახეობის ვიტალიტეტს (სიცოცხლისუნარიანობას). საველე კვლევების ძირითადი სახელმძღვანელოა ხმელეთის მცენარეთა ეკოლოგია (მიხაელ.. 1999:48) .

კვადრატის მეთოდი. მოცემულ ჰაბიტატში ფიტოცენოზური კვლევისას კვადრატის მეთოდია გამოყენებული. კვადრატების ზომები ასე მერყეობს: 0. 1-0.25 სმ² ბრიოფიტებისას, 0.25-10 მ² - მარცვლოვნებისა და მაღალბალახეულობისას, და 10- 50 მ² როცა მერქნიანი მცენარეული საფარია (მიხაელ.. 1999:48) .



დიაგრ. 1. მცენარეთა დაფარულობის პროცენტული თანაფარდობის მაჩვენებელი ცხრილი

საველე სამუშაოებისათვის შედგა სპეციალური საველე ბლანკი. ბლანკში მითითებულია: ზედაპირის და ცალკეული სახეობის დაფარულობა (%), შეფასება Braun-Blanquetia სკალით, სიმაღლე, იარუსიანობა, ფენოფაზები, ანთროპოგენური ზეგავლენა, დრო, ამინდი. ყოველი ბლანკის მონაცემების შეტანა excel ფაილში ხდება, რაც აუცილებელია შემდგომში PC ord პროგრამისათვის,

რომელიც ადგენს მცენარეულ თანასაზოგადოებებს. შემდეგში ვლინდება მოცემული, იშვითი სახეობების კონსერვაციული სტატუსი.

შეგროვებული საჰერბარიუმო მასალა. საჰერბარიუმო მასალა შეგროვდა 1996-2019 წლებში იმერეთის მდინარეთა ხეობებისა და ჩრდილო და სამხრეთ იმერეთის მთათა სისტემებზე. შეგროვებულია რამოდენიმე ათეული საჰერბარიუმო მცენარე, რომელიც დაცულია ქუთაისის უნივერსიტეტის ჰერბარიუმში. სახეობების ტაქსონომია და ნომენკლატურა დადგინდა „საქართველოს ფლორის“ პირველი (1941-1952:52) და მეორე (1971-2016) გამოცემების, „საქართველოს მცენარეთა სარკვევის“ (1964, 1969: 53), ს.ჩერეპანოვის ნომენკლატურული ცნობარის, აგრეთვე რ.გაგნიძის „საქართველოს ფლორის კონსპექტი-ნომენკლატურული ნუსხა“-ს მიხედვით. შედარდა „კავკასიის ენდემური ფლორის წითელ ნუსხასთან“. (Solomon...2013:95). ასევე მცენარეთა სახეობების გარკვევის სახელმძღვანელოა: ჰელვეტიკის ფლორა (კორნად ლაუბერი 2001:35, www.plantlist.org; www.Ipni.org;[:101](http://www.Ipni.org)).

საკუთარი მასალების გარდა გამოვიყენეთ ქუთაისის წერეთლის უნივერსიტეტისა და თბილისის ნ.კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტში (TBI) დაცული ჰერბარიუმი. ველზე შედგენილი ფლორისტურლი და ეთნობოტანიკური ჩანაწერები, ფენოლოგიური დაკვირვებები და შეგროვებული საჰერბარიუმო მასალები. ეს უკანასკნელი დამუშავდა ქუთაისის წერეთლის უნივერსიტეტში.

საველე მონაცემების შეგროვება ძირითადად ხდებოდა ქუთაისის მიდამოებში-„მუხნარის ტყეში“, სათაფლიის ტყეში, აჯამეთის ტყეში, წყალწითელას ხეობაში, ოკრიბაში, გელათის ტყეში-დოხოვრას მთაზე, ტყიბულის მიდამოებში, ნაქერალას სამხრეთ ფერდობზე-მთა ცხრაჯვარზე (1650 მ.ზ.დ.-დან), ბაღდათის რაიონში-საირმის მიდამოებში, ჭიათურის რაიონში

მდ.ჯრუჭულას ხეობაში,მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე-
მთა მეფისწყარო (2850 მ.ზ.დ.-დან). მონაცემების შეგროვება
ხდებოდა ყველა ტიპის მცენარეულ ფორმაციაში და
სარტყელში,ზღვის დონიდან 15მ-დან 2850მ-მდე სიმაღლის
ფარგლებში. კვლევა მიმდინარეობდა ფლორისტული კვლევის
თანამედროვე ეთნობოტანიკური კვლევის მეთოდებით და
ინტერვიუების საშუალებით.

შრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე

- მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლიანობის, ფლორის სისტემატიკური სტრუქტურის, ფლოროკომპლექსების თავისებურებების, რაოდენობრივად და ცენოტურად წამყვანი ტაქსონების და ენდემური სახეობების მონაწილეობის საფუძველზე იმერეთისათვის გამოყოფილი იქნა 5 ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონი და ქვერაიონი;
- დაზუსტდა იმერეთის ენდემური ფლორის სახეობრივი შემადგენლობა, სისტემატიკური და გეოგრაფიული სტრუქტურა;
- შესწავლილია ენდემურ სახეობათა განაწილების კანონზომიერებანი იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში; ბიოტოპებში;
- შესწავლილია სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის ენდემურ სახეობათა ჰიფსომეტრული გავრცელების კანონზომიერებანი;
- შედგენილია იმერეთის ენდემურ სახეობათა კონსპექტი, რომელშიც ნაჩვენებია მოცემული სახეობის გავრცელება მცენარეულობის ვერტიკალურ სარტყელში, ბიოტოპსა და იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონში და აგრეთვე მათი ზუსტი ადგილსამყოფელი;
- დაზუსტებულია ბოტანიკური თვალსაზრისით აქამდე შეუსწავლელი სამხრეთ იმერეთის მაღალმთის ენდემური ფლორის სისტემატიკური და გეოგრაფიული სტრუქტურა.

- შედგენილია იმერეთის ენდემური სამკურნალო მცენარეების სია ინვენტარიზაციის გზით და ეთნობოტანიკური მასალების საფუძველზე დოკუმენტირებულია იმერეთის ზოგიერთი რაიონის მოსახლეობის ტრადიციული ცოდნა.

კვლევის შედეგების აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომის მასალები წარდგენილი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური საბჭოს წინაშე სასემინარო და საკოლოქვიუმო ნაშრომების და პრეზენტაციების სახით (2018-2019 წ.წ.). ნაშრომმა წარმატებით გაიარა აპრობაცია ფაკულტეტის საბჭოზე.

კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ასევე რამოდენიმე საერთაშორისო კონფერენციის მასალებში.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:

დისერტაციის ტექსტი მოიცავს 158 კომპიუტერულ ნაბეჭდ გვერდს და შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ექსპერიმენტული ნაწილის, დასკვნებისა და ლიტერატურის ჩამონათვალისგან. ტექსტში ჩართულია: 25 ცხრილი, 19 სურათი, 8 დიაგრამა, 6 რუკა.

ლიტერატურული მიმოხილვა:

დისერტაციის პირველ ნაწილში მოცემულია ლიტერატურული გაანალიზების შედეგები. მოცემულია იმერეთის რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური დახასიათება, იმერეთის ფლორის შესწავლის ისტორია, ქუთაისის უნივერსიტეტის ჰერბარიუმის შესწავლის ისტორია.

თავი 1. იმერეთის რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური დახასიათება

იმერეთი დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ფლორისტულად მდიდარი და მრავალფეროვანი რეგიონია. იმერეთი შედის უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს სუბხმელთაშუა ზღვის პირეთის ოლქის კოლხეთის ანუ აღმოსავლეთ ევქსინის პროვინციაში. მისი ტერიტორია მოიცავს რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის კირქვიანების, კოლხეთის დაბლობისა და მთისწინების, გურია-სამხრეთ იმერეთის ოკრუგების ნაწილებს (გაგნიძე...1996:12). იმერეთი იყოფა ქვემო და ზემო იმერეთად, მთლიანი ფართობია 6,6 ათასი კმ², რაც მთელი საქართველოს ფართობის 9,2%-ს შეადგენს.



რუკა 1. საქართველოს ფლორისტული რეგიონები

მდინარეები. იმერეთის ზონის ტერიტორიაზე გამავალი ყველა მდინარე შავი ზღვის აუზს ეკუთვნის და იყოფა ზემო და ქვემო შიგა წყლების რეგიონებად (ლორთქიფანიძე, 1997:37). იმერეთის მთავარ ტრანზიტულ მდინარეებს მიეკუთვნება რიონი და

ცხენისწყალი (რიონის სიგრძე იმერეთის ფარგლებში 95 კმ., ცხენისწყლისა კი 60 კმ.).

ნიადაგები. ი. საბაშვილის (საბაშვილი..1952:50) მიერ შემუშავებული საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით იმერეთის მხარეში გავრცელებულია: მდელოს ალუვიური კარბონატული და უკარბონატო ნიადაგები, ყვითელმიწა ეწერ-ლეზიანი ნიადაგები, ყვითელმიწა ეწერი ნიადაგები, ყვითელმიწა მძიმე თიხნარი და თიხიანი ნიადაგები, წითელმიწა ნიადაგები, ნემომპალა-კარბონატული (ტიპიური და გატუტული) საშუალო სიღრმის ნიადაგები, ნემომპალა-კარბონატული მცირე სიღრმის, ალავ ძირითადი ქანის გაშიშვლებით, ტყის ყომრალი ნიადაგები (მჟავე და სუსტად არამძლარი), ყომრალი სუსტად გაწრებული, მძიმე თიხნარი ნიადაგები, ყომრალი, მცირე სიღრმის საშუალოდ და ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები, მთა-მდელოს კორდიანი, კორდიან-ტორფიანი და პრიმიტიული ნიადაგები.

კლიმატი. იმერეთი ზღვის ნოტიო კლიმატის ოლქში მდებარეობს და რელიეფის შესატყვისად ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობით ხასიათდება. იმერეთის ვაკე – დაბლობზე ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა.

იმერეთში ატმოსფერული ნალექების განაწილების სეზონ-ურობის გამო, რაიონის უმეტესი ნაწილის ჰავა ხმელთაშუაზღვის ჰავის ტიპს მიეკუთვნება.

თავი 2. იმერეთის ფლორის შესწავლის ისტორია და ქუთაისის უნივერსიტეტის ჰერბარიუმის ისტორია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1933 წ. ჩაისახა, ბოტანიკის კათედრის პირველი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი. იმერეთის ფლორას სწავლობდნენ ა. ქუთათელაძე, ლ. კემულარია-ნათაძე, ე. სოხაძე, მ. სოხაძე, რ. გაგნიძე და კათედრის თანამშრომლები. კოლექციის საერთო

რაოდენობა 25600 საჭერბარო ფურცელს მოიცავს. აქ დაცულია 126 ოჯახის, 492 გვარის და 1267 სახეობის ნიმუშები. ჰერბარიუმს ინდექსი არ გააჩნია. ჰერბარიუმში არის ენდემების ტიპებიც:

Campanula irinae A. Kuthatheladze;

Genista sachokiana A.kuthatheladze;

Potentilla kemulariae Kapell. et A.Kuthatheladze.

(Чеишвили...2007:95)

თავი 3. იმერეთის მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლიანობა, სარტყლებში გავრცელებული მცენარეულობის ძირითადი ბირთვი და ენდემური სახეობები

იმერეთის რელიეფი ვაკე-ბორცვიანია, დაბალი და საშუალომთიანი, ამის შესაბამისად მრავალფეროვანი კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები განაპირობებენ მცენარეულობის ვერტიკალურ სარტყლიანობას, რომელიც კოლხური ტიპისაა. რეგიონს ახასიათებს შერეულფოთლოვანი, ფართოფოთლოვანი და მუქწიწვიანი ტყეების, სუბალპური და ალპური სარტყლები. იმერეთი მოკლებულია სუბნივალურ სარტყელს შედარებით დაბალი აბსოლუტური სიმაღლეების გამო; ალპური სარტყლის გავრცელებაც შეზღუდულია და იგი ვიწრო ზოლადაა გამოხატული 2500-2800 მ-მდე ზ.დ. აჭარა-იმერეთის ქედზე.

იმერეთის მცენარეული საფარი ო. ჩხეიძის (ჩხეიძე...2004:78) მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ რამდენიმე სარტყლით ან ზონით.

I. ტყის სარტყელი - 6 ზონით:

1. კოლხეთის ვაკე დაბლობის ჭარბტენიანი მცენარეულობის ზონა (ზ.დ. 15-150 მ).

2. კოლხეთის ვაკე დაბლობისა და მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი მთისწინების მუხისა და მუხნარ-რცხილნარი ტყეების ზონა(ზ.დ. 160-600მ.).

3. დაბალმთის კოლხეთის შერეული ფართო-ფოთლოვანი ტყეების ზონა(ზ.დ.600-1200მ.).

4. საშუალომთის წაბლნარ-რცხილნარი ტყეების ზონა

5. მთის ზედა სარტყლის წიფლნარი ტყეების ზონა.

6. მთის ზედა სარტყლის შერეული (წიფლნარ-მუქწიწვიანები) და წიწვიანი ტყეების ზონა

II. სუბალპური ტყე-მდელოს სარტყელი.

III. ალპური მდელოს სარტყელი

ექსპერიმენტული ნაწილი

თვი 4. იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონება

1958 წელს პროფესორმა ა.კოლაკოვსკიმ (კოლოკ-ოვსკი...1958:32; კოლოკოვსკი...1961:33) მოახდინა კოლხეთის პროვინციის ორიგინალური ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონება:

- ლითორალური, ტყის და ალპური.

ა. კოლაკოვსკი კოლხეთის ტყის და ალპურ პროვინციაში არჩევს არაკირქვიანების და კირქვიანების ქვეპროვინციებს. არაკირქვიანების ქვეპროვინციას ახასიათებს რელიქტური მეზოფილური ტყეები თავისი მარადმწვანე ქვეტყით. რაც შეეხება იმერეთის კირქვიანებს, იგი მთლიანად მოთავსებულია კოლხეთის ტყის პროვინციის კირქვიანების ქვეპროვინციის მთისწინებზე და მთიან რაიონებში.

იმერეთის, როგორც მრავალფეროვანი ოროგრაფიული პირობების რეგიონის ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონებისას, გათვალისწინებულ იქნა ვერტიკალური სარტყლიანობა, ფლორის სისტემატიკური სტრუქტურა და ფლოროკომპლექსების თავისებ-

ურებანი, ასევე, ო.ჩხეიძის მიერ მოცემული იმერეთის გეომორფოლოგიური დარაიონება. (ჩხეიძე...2004:78) რეგიონის ფლორის შესწავლის გაადვილების მიზნით, იმერეთისთვის ამ ეტაპზე გამოყავით 5 ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონი:

- I. კოლხეთის დაბლობის რაიონი (კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილი);
- II. ხვამლ-რაჭის ქედის და ასხის მასივის რაიონი(ხვამლ-რაჭის ქედის სამხრეთი ფერდობი და ასხის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი);
- III. ოკრიბის რაიონი (ჩრდილო იმერეთის მთისწინეთი);
- IV. ზემო იმერეთის პლატო და ლიხის ქედის რაიონი (ზემო იმერეთის პლატო და ლიხის ქედის დასავლეთი ფერდობები);
- V. მესხეთის ქედის რაიონი (გურია-იმერეთის, აჭარა-იმერეთის, ახალციხე-იმერეთის ქედების მონაკვეთები).

თავი 5 . იმერეთის ფლორის ენდემური სახეობების სისტემატიკური, გეოგრაფიული და ეკოტოპოლოგიური მიმოხილვა

5.1. იმერეთის ენდემური ფლორის სისტემატიკური სტრუქტურა

კვლევის შედეგების მიხედვით იმერეთის ენდემური ფლორის მრავალფეროვნება 142 სახეობით განისაზღვრება, რომლებიც მიეკუთვნებიან 35 ოჯახს და 81 გვარს, რაც იმერეთის მთელი ფლორისტული შემადგენლობის (900-დე სახეობა) 15,7%-ს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ენდემური ფლორის გვარობრივი სიმდიდრე. მაგ. ენდემური გვარების რიცხობრივი შეფარდება სახეობების საერთო რიცხვთან შეადგენს 1:1,75 .

იმერეთის ფლორის ენდემური სახეობების სისტემატიკური, ეკოტოპოლო- გიური და ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში გავრცელების ანალიზი

№	ოჯახი	სახეობა	ენდემურობა	ბიოტოპი	ბიოტოპ-გეოგრაფიკული რაიონი
1	2	3	4	5	6
1)	<i>Apiaceae</i>	<i>Anthriscus schmalhausenii</i> (LC)	K	სუბალპ.სარტყლ. ტყეებში	I,II,III, IV
2)		<i>Astrantia colchica</i> (EN)	G (Colch)	ღორღიანი მდეღ.კირქვ.ზე სუბალპ.	V
3)		<i>A.trifida</i> (NE)	K	სუბალპ. და ალპ.მდელოებზე	V
4)		<i>Chaerophyllum roseum</i> (NE)	K	სუბალპ.ტყე-მდელო	IV
5)		<i>Cnidium grossheimii</i> (DD)	G	სუბალპ.სარტყლ.მდელოებზე, ტყის ველობებზე.	I
6)		<i>Heracleum chorodanum</i> (NE)	K	მთის შუა სარტყ.ბალახოვან ფერდობ.,ბუჩქნ. რაყაში,ტყის პირებზე.	I,III
7)		<i>H. grossheimii</i> (DD)	G (Colch)	მაღალბალახეულობა,ჩმონაშალი ქვიანი ფერდობები	II
8)		<i>H.leskovii</i> (LC)	K	ჩამონაშალი ქვიანი ფერდ.მთის შუასარტყ.სუბალპ.	II,IV
9)		<i>H.mandenovae</i> (DD)	K	მთის ზედა და სუბალპ.სარტყ. ტყის ველობებსა და ტყის პირებზე.სუბალპ.მდელოები.	II
10)		<i>Peucedanum adae</i> (LC)	K	მშრალ ღია ფერდობებზე,ნა	III

				თელ მუხნარ ტყეებში	
11)		<i>Polyphium panjutinii</i> (EN)	G (Colch)	კლდ.ლოდ.კირ ქვ.ეკოტოპ. სუბალპ.ალპ.სა რტყელი	II
12)	<i>Asteraceae</i>	<i>Achillea griseo-virens</i> (DD)	K	სუბალპ მდელო. ტყის ველობებზე, პირებზე	II
13)		<i>Anthemis macroglossa</i> (DD)	K (Colch)	მდელოები,ველ ებისუბალპ. ალპურმიც 1800-2600მ.	II,IV
14)		<i>A.schischkiniana</i> (DD)	G (Colch)	სუბალპური მდელო	V
15)		<i>A.sosnovskyana</i> (NE)	K	ალპ.მდელო,ქვი ანი ეკოტ. 1800-2200მ	V
16)		<i>A.woronowii</i> (DD)	K (Colch)	ტყე-კლდის ჰემიქს.ტყის პირებზე, ბუჩქნარები	I,II,III, IV,
17)		<i>Cicerbita deltoidea</i> (NE)	K	მთის ტყეებში შუა და ზედა სარტყე,800- 2000მ.წიფნარ -სოჭნარი.	II
18)		<i>C.prenanthoides</i> (NE)	K	მთის ქვედა სარტყე. სუბალპ.2500მ. მაღალბალახ.ტყ ის პირებზე	III,IV
19)		<i>Cirsium imereticum</i> (LC)	G (Colch)	ტყე- კლდე,სუბალპ. მთის .მდელოებზე	V
20)		<i>C. kemulariae</i> (DD)	G	მთის შუა და სუბალპ სარტყელ. მდელოებზე	IV
21)		<i>C.oblongifolium</i> (VU)	G (Colch)	ტყის ზედა და სუბალპ.წიფლნ. წიფლ.სოჭნ.ტყი ს პირებზე	II
22)		<i>C.sosnowskyi</i> (LC)	G (Colch)	მთის შუა სარტყე,სუბალპ ურ, კირქვებზე	II,III,I V
23)		<i>Hieracium x abacurae</i>	G	მთის ზედა	II

		(DD)		სარტყ. სუბალკ- მდე, ტყეებში, მდელოებზე. 12 00-2100მ.	
24)		<i>H. elisabethae</i> (DD)	K	მთის შუა სარტყლ. სუბალ კ-მდე, დია ფერდობ. რიყეზ ე	I, III
25)		<i>H. x pseudosvaneticum</i> (LC)	K	სუბალკური და ალპური სარტყლის მდელოებზე იშვიათად.	II
26)		<i>H. x raddeanum</i> (LC)	K	მთის შუა სარტყლ. დან ზედა სარტყლ. მდე. მუ ხნარ და სხვა ფოთლოვან ტყეებში.	I, III
27)		<i>Inula magnifica</i> (LC)	K (Colch)	ტყე-მდელო სუბალკ. მაღალბალახ. ტყ ის პირებზე	I, III
28)		<i>Lapsana pinnatisecta</i> (DD)	K	მდინ. ნაპ. მდელ. ბუჩქნ. მთის ზედა სარტყ. ტყის პირებზე, ზოგჯე რ როგორც სარეველა.	II
29)		<i>Petasites georgicus</i> (DD)	G	მთის შუა და ზედა სარტყ. მდ. ხეობ. ტენიან. ადგ. მდინ. ხეობები	III
30)		<i>Psephellus colchicus</i> (LC)	K (Colch)	მდელოები, განს აკ. კირქვიან. შუა სარტყლ. ალპურამდე	II, III
31)		<i>Pyrethrum chamaemelifolium</i> (LC)	K (Colch)	კირქვ. კლდ. ნაპ რ. მთის ზედა სარტყელი	II
32)		<i>P. peucedanifolium</i> (DD)	K	მთის ზედა სარტყ. კლდოვა ნ ადგ. ტყეებში, გზ ის პირებზე	IV

33)		<i>Senecio massagetovii</i> (DD)	K	კირქვ.კლდეზ.ზ ედა სარტყ.მერგელ ურ .ფიქლ.მთის შუა,ზედა სატყ.	II
34)		<i>S.platyphylloides</i> (LC)	K (Colch)	სუბალპებში,მა ღალბალახეულ ობაში, ტყის პირ.	II
35)		<i>S.rhombifolius</i> (NE)	K	ტყის და სუბალპური მაღალბალახეულ ლობა	III
36)		<i>Taraxacum confusum</i> (NE)	K	სუბალპ. და ალპ.სარტყ. მდელოებსა და ხალკებზე.	I
37)		<i>T.grossheimii</i> (NE)	K	ფართ.ფოთ.ტყი სპირ.რუდეღარ ულ ადგილებზე.	I,III
38)		<i>Tephrosieris cladobotrys</i> (LC)	K	მთის შუა სარტყლ.სუბალ პ- მდე,მაღალბალ. სუბალპ.მდელო.	II
39)		<i>Tripleurospermum colchicum</i> (DD)	K	მთის ზედა, სუბალპ. და ალპ.სარტყ.ქვიან, მშრალ და კლდოვან ადგ.	I,IV
40)	<i>Betulaceae</i>	<i>Corylus imeretica</i> (DD)	G (Colch)	კირქვ.მთის შუა სარტყ.ტყის პირას	III,IV
41)	<i>Boraginaceae</i>	<i>Nonea decurrens</i> (DE)	K	სუბალპური მდელო,მთის შუა სარტყელი.	III
42)		<i>N.setosa</i> (NE)	K	სუბალპური მდელო	III
43)		<i>Paracynoglossum imeretinum</i> (VU)	G	შერ.ფართ.ფოთ. ტყე ქვიანი ეკოტოპ.დაბინძ .ადგ.	I,II,III, V
44)		<i>Symphytum grandiflorum</i> (LC)	K	ტენიან,დაჩრდი ლულ ადგ.ტყის ქვედა და შუა სარტყ. ლობებს	I,III

				გაეოლ.	
45)	<i>Brassicaceae</i>	<i>Arabis nordmanniana</i> (LC)	K	ნესტიანი ტყე-კლდე	I
46)		<i>Draba bryoides</i> (NE)	K	კლდეები, ალპ. სუბალპ. სარტყ.	II
47)		<i>D. imeretica</i> (EN)	K (Colch)	კირქვ. კლდეები, მთის შუა სარტყ.	I, III
48)		<i>D. mingrelica</i> (NT)	G (Colch)	კირქვ. კლდეები, ალპ. სარტყ.	II
49)		<i>Erysimum ibericum</i> (NE)	K	კლდეწაშალ. ეკოტოპ. 1500-2800მ.	IV
50)	<i>Campanulaceae</i>	<i>Asyneuma campanuloides</i> (NE)	K	სუბალპ. ალპ. მდელო იშვ. ტყის სარტყ.	II, III
51)		<i>Campanula albovii</i> (DD)	G	ტყის ზედა და ალპური სარტყ. კლდეთა ნაპრალები	V
52)		<i>C. collina</i> (DD)	K	ტყის ზედა და ალპური სარტყ. კლდეთა ნაპრალები	V
53)		<i>C. imeretina</i> (NT)	G (Colch)	კლდის ნაპრ. ტყის სარტყელ. სუბალპ.-მდე	I, III
54)		<i>C. irinae</i> (VU)	G (Imer)	კლდ. ღორღ. ადგ. ალპ. სარტყ. კირქვ. კლდ. მთის შუა სარტყ. ტყის ზედა ზოლში	II
55)		<i>C. kemulariae</i> (VU)	G (Imer)	კირქვ. კლდ. მთის ს. ქვ. სარტყ.	III, IV
56)		<i>C. letschumensis</i> (VU)	G (Colch)	კირქვ. კლდ. ტყის სარტყ.	I, II, III
57)		<i>C. longistyla</i> (LC)	G (Colch)	მშრალ ფერდ. მთის ქვ. სარტყ.	I, III
58)		<i>C. makaschvilii</i> (VU)	G	შერ. ფართ. ფოთ. ტყე, მთისწინეთში	I
59)		<i>C. radchensis</i> (VU)	G (Colch)	კლდ. 2000მ. ზ. დ. კირქვიანებ.	I I
60)		<i>C. sphaerocarpa</i> (LC)	K	კლდელორდიან	V

			(Colch)	ო ადგ.აღპ.სარტყ.	
61)	<i>Caprifolia ceae</i>	<i>Cephalaria gigantea</i> (NE)	K	მაღალბალახეუ ლობა,სუბაღპ.ა ღპური სარტყ.	II,V
62)		<i>Scabiosa caucasica</i> (DD)	K	მაღალბალახეუ ლობა,სუბაღპ.ა ღპური სარტყ.	V
63)		<i>S. colchica</i> (NT)	G (Colch)	კირქვ.კლდეები ჩამონაზვავი,მთ ის ქვედა და შუა სარტყ.	III
64)		<i>S.georgica</i> (LC)	K	მშრალი ფერდ.ბუჩქნ.მთ ის შუა სარტყ.	I,IV
65)		<i>S.imeretica</i> (NT)	G (Colch)	მთის ქვ. და შუა სარტყ.კირქვ.გა შიშვლ.ღორღია ნ ფერდობებზე	II,III
66)		<i>Valeriana colchica</i> (LC)	K (Colch)	სუბაღპ.ტყე- მდელო მაღალბალახეუ ლობა	II,IV
67)		<i>V.jelenevskyi</i> (LC)	K (Colch)	კლდიანი ევოტოპები,ტყი ს,სუბაღპ.აღპ. სარტყ.გრანიტო ვან კლდეებზე.	III,IV
68)		<i>V.tiliiflora</i> (DD)	K	მაღალბალახ.ბუ ჩქნ.საუბაღპ.აღ პ.სარტყ.მაღალბ ალახეულობ	II,III,I V
69)	<i>Caryophyl laceae</i>	<i>Dianthus caucasicus</i> (LC)	K	მდელოები	IV
70)		<i>D. imereticus</i> (NT)	K (Colch)	კირქვ.კლდ.მთი ს შუა სარტყ.	I,II,III, IV
71)	<i>Celastrace ae</i>	<i>Euonymus leiphloea</i> (NE)	K (Colch)	ტენ.ადგ.კლდ.ბ ქვ. ტყეებ.1500მ.	I,II,III, IV
72)	<i>Euphorbia ceae</i>	<i>Euphorbia macroceras</i> (NE)	K	ტყე-მდელო მაღალბალახეუ ლობა,სუბაღპ რამდე.	I,III,IV
73)		<i>E.scripta</i> (LC)	K (Colch)	სუბაღპ.მდელო ები	I,III,IV
74)		<i>Leptopus colchicus</i> (VU)	K (Colch)	კირქვ კლდეები,მთის ქვედა და შუა სარტყ.	I,III

75)	<i>Fabaceae</i>	<i>Anthyllis irenae</i> (DD)	K	მდელოები, მთის შუა და ზედა სარტყ.	II, III, IV
76)		<i>Astragalus kemulariae</i> (LC)	G (Colch)	ქვა-ლორღანი ეკოტოპები მთის შუა სარტყელი	I, II, III
77)		<i>Galega orientalis</i> (NE)	K	მაღალბალახეულობა, მდელოები, ტყის და სუბალპური სარტყელი	I, IV
78)		<i>Genista patula</i> (NE)	K	დაბლობებსა და ტყის ქვედა სარტყ. მდელოს მც-სა ფართოფოთლ. ტყ. ნახევარდუდაბნ.	II
79)		<i>G. sachokiana</i> (NT)	G (Imer)	კირქვ კლდეები, სუბალპ. სარტყ.	II, IV
80)		<i>Lotus caucasicus</i> (NE)	K	მაღალბალახ. ღორღანი ეკოტოპები	I
81)		<i>Vicia antique</i> (NE)	K (Colch)	ბუჩქნარები, მდელოები, მდინარის სანაპიროები	I, III
82)		<i>V. ciliatula</i> (NE)	K	ჩრდილიან, ტენიან ადგ. მდინ. ტყის პირებზე. 1500მ. ზ.დ.	IV
83)		<i>V. grossheimii</i> (NE)	K	ტყე-მდელო, ბუჩქნარები	III
84)	<i>Fagaceae</i>	<i>Quercus imeretina</i> (VU)	G	მთის ქვედა სარყ. ქვიან დაბლობ, ჭარბტენ, ტორფ, წითელმიწ.	I, II, III, IV
85)	<i>Gentianaceae</i>	<i>Gentiana kolakovskiyi</i> (DD)	G (Colch)	კირქვ კლდეების ნაპრაღ. მთის ზედა სარტყ. ალპურამ	II

				დე	
86)		<i>Swertia iberica</i> (NE)	K	სუბალპ.მდელო , ტენიანი მინდერ.ალპ.სა რტყ.	II,III,V
87)	<i>Lamiaceae</i>	<i>Thymus caucasicus</i> (NE)	K	ქვა-ღორღიანი ეკოტოპები, ალპური სარტყ.	V
88)		<i>Th. collinus</i> (NE)	K	კლდოვანი ეკოტოპები,მთი ს ქვედა და შუა სარტყ.	III
89)		<i>Th.ladjanuricus</i> (VU D2)	G (Colch)	კირქვ კლდეები,მთის შუა სარტყ.	IV
90)		<i>Th. nummularius</i> (DD)	K	ქვა-ღორღიანი ეკოტოპები, ალპური სარტყ.	V
91)	<i>Malvaceae</i>	<i>Alcea transcaucasica</i> (DD)	G	ტყე-კლდის ჰემიქს.ბუჩქნარ ები,ტყის პირებზე	I
92)	<i>Orobanchaceae</i>	<i>Euphrasia caucasica</i> (NE)	K	მთის შუა სარტყლ.ზედა სარტყლ.მდელო ებზე.ღორღ.ბ უჩქნ.ფერდობ.	II,III
93)		<i>E.kemulariae</i> (DD)	G (Imer)	მთის ზედა სარტყლ.დან ალპურამდე,მდ ელოებზე და კლდოვან ადგ.	II
94)		<i>Rhinanthus colchicus</i> (DD)	K	მთის შუა სარტყლ.ტყეებშ ი,კირქვიან ფედობებზე.	II,III
95)	<i>Paeoniaceae</i>	<i>Paeonia caucasica</i> (LC)	K	სხვადასხვა ტყე,მთის შუა და ზედა სარტყ.	I,II,III, IV
96)		<i>P.macrophylla</i> (VU)	K (Colch)	მუხნარ- რცხილნარის პირ.	IV
97)		<i>P.ruprechtiana</i> (EN)	G (Colch)	ბუჩქნარები კირქვიანებზე	IV
98)	<i>Plantaginaceae</i>	<i>Digitalis ciliata</i> (LC)	K	კლდეებზე,ტყე შსა და ტყის პირებზე(უმეტ. ფიჭვნარებში)ფ იქლებიან	III

				გამიშვლებზე	
99)		<i>Paederotella pontica</i> (VU)	K	სუბალპ.აღვ.კ ლდე.ქვიშაქვებ ი,კლდეთა ნაპრალები,1000 -2700მ.	I
100)		<i>Verbascum alpigenum</i> (NE)	K	მთის და სუბალპ.სარტყ ლ.ტყ. ტყისპირას.მდე ლოებზე	IV
101)		<i>Veronica galathica</i> (NE)	K	კირქვიან კლდეებზე,მთი ს შუა სარტყ.	IV
102)		<i>V.imerethica</i> (DD)	K	კირქვ.სუბსტრა ტ.მთისწინ.დან ტყის ზედა საზღვრამდე.	I,III
103)	<i>Polygalace ae</i>	<i>Polygala caucasica</i> (NE)	K	სხვადასხვა ტყე,შუა სარტყლ.აღვ.კურ მდელოებზე.	I,II,III
104)		<i>P.makaschwilii</i> (DD)	K	ტყისსარტყ.კირ ქვ.ფერდ.გორაკ. ბუჩ.ტყის პირებზე.	I,II,III, IV
105)	<i>Primulace ae</i>	<i>Cyclamen colchicum</i> (VU)	G (Colch)	ქვა-ღორღიანი ეკოტოპები	III
106)		<i>Primula woronowii</i> (NE)	K	ტყე, .ტყისპირები	I,II,III, IV
107)	<i>Ranuncula ceae</i>	<i>Aquilegia caucasica</i> (NE)	K	სუბალპ.მდელო	I,IV
108)		<i>A.colchica</i> (EN)	G (Imer)	მთის შუა სარტყ.კირქვიან მდელო.	IV
109)		<i>Delphinium flexuosum</i> (NE)	K	სუბალპ.მდელო მაღალბალახ.	IV,V
110)		<i>D.thamarae</i> (VU)	G	ტყის ზედა სარტყ.ფერდობ ებზე,ტყის პირებზე	V
111)		<i>Helleborus abchasicus</i> (DD)	K	მთის წინებზე,მთის შუა სარტყ.კირქვიან ებზე.	II,III
112)		<i>H.caucasicus</i> (DD)	K	შერ.ფართ.ფოთ. ტყე	I,II,III, IV

113)		<i>Ranunculus baidarae</i> (VU)	K	ტყის ზედა სარტყლ.მდელო ოგბსა დანაკადულეზ.პ ირებზე,სუბალპ .სარტყ.	II
114)	<i>Rhamnaceae</i>	<i>Rhamnus cordata</i> (NT)	G (Colch)	კირქვ კლდეები,ნაპრა ლები	II,III
115)	<i>Rosaceae</i>	<i>Alchemilla kozlowskii</i> (NE)	K	მდელოებზე	II
116)		<i>A.subcrenataformis</i> (DD)	G	ნატყევევარ.ადგ.მ დელოებზე	II
117)		<i>A.undecimloba</i> (DD)	K	სუბალპ.მაღალბ ალაბ.ტყის ველობ.	II
118)		<i>A.woronowii</i> (DD)	G	ქვიან ფერდ.ბუჩქნ,სუ ბალპ.სარტყ.	II
119)		<i>P.caucasica</i> (DD)	G	მთის ტყისპ.ბუჩქნ.მდ ელ.	I,II,III
120)		<i>Potentilla imerethica</i> (DD)	G (Imer)	მთის ქვედა სარტყ.კირქვ.კ ლდ.	II,IV
121)		<i>P.kemulariae</i> (VU)	G (Imer)	მთის შუა სარტყ.ღია ადგ.ნაზევეებზე	II
122)		<i>Rubus moschus</i> (DD)	G (Colch)	შერეული ტყის	II,IV
123)		<i>R.ponticus</i> (DD)	G	ტყეები,ტყის პირებზე	II,IV
124)	<i>Rubiaceae</i>	<i>Asperula abchasica</i> (LC)	K	ალპ.სარტყ.ღორ ღ.ადგ.კირქვ.კლ დ.ნაპრ.	II
125)		<i>A.kemulariae</i> (NE)	K (Colch)	კირქვიანი კლდეები,ტყის და სუბალპ.სარტყ. მთის ქვედა და შუა სარტყ.	II
126)		<i>Galium valantoides</i> (NE)	K	მთის შუა სარტყლ.ალპ.სა რტყლ.მდე	I,II,III, IV
127)	<i>Santalaceae</i>	<i>Thesium laxiflorum</i> (LC)	G	მთის ქვედა სარტყლ.ზედამ დე.ბალახოვან ფერდობ.ტყის პირებზე.	I,II,III, IV

128)	<i>Scrophulariaceae</i>	<i>Scrophularia imerethica</i> (NT)	G (Imer)	მთის შუა სარტყლ. ტყეებში ი, მშრალ ფედობებზე.	II
129)		<i>S. lateriflora</i> (NE)	K	კლდოვანი ეკოტოპები, მთის ზედა სუბალპ. სარტყ.	II, III
130)	<i>Solanaceae</i>	<i>Atropa caucasica</i> (NE)	K	. ტყისპირები, ტყეები, მთის შუა სარტყ. და ჩრდილო ადგილებში.	II, III
131)		<i>Solanum woronowii</i> (NT)	K	მთის შუა სარტყ. გზისპირებზე, ხეობებში.	III
132)	<i>Thymelaeae</i>	<i>Daphne axilliflora</i> (NE)	K	მთის ქვედა და ზედა სარტყლ. ტყეებში ი, მდინ. და ჩანჩქერ. სანაპ. არხების ნაპირებზე.	III
133)		<i>Daphne pseudosericea</i> (EN)	K (Colch)	ტყის ზედა სარტყელში, ალპურში	II, III
134)	<i>Urticaceae</i>	<i>Parietaria kemulariae</i> (VU)	G (Colch)	კირკე კლდეები, მთის შუა სარტყელ.	I, III, IV
135)	<i>Alliaceae</i>	<i>Allium gracilescens</i> (NT)	G (Colch)	ტყე-კლდის ჰემიქს. მთის ქვედა სარტყელი	III
136)	<i>Amaryllidaceae</i>	<i>Galanthus schaoricus</i> (EN D)	G	ბუჩქნ. მთის შუა სარტყლ. ტყეებში	I, II, III, IV
137)		<i>Galanthus woronowii</i> (NE)	K	შერეული ფართოფოთლოვანი ტყე	I
138)	<i>Asparagaceae</i>	<i>Muscari alpanicum</i> (VU)	G	მთის ქვედა სარტყ. მდე, კირქვ. გამომვლებზე	II
139)		<i>Ornithogalum imereticum</i> (VU)	G (Imer)	დაჩრდილო ტყეებში, მთის შუა სარტყელამდე.	I, III
140)	<i>Iridaceae</i>	<i>Iris colchica</i> (NT)	K	მთის ქვედა სარტყლ. დან შუა	I, II, III

				სარტყლ.მდე,მ დელოვზე და ბუჩქნ.მორის	
141)	<i>Liliaceae</i>	<i>Erythronium caucasicum</i> (NE)	K	მთის შუა და ზედა სარტყლ ტყეებში.	I,II,III
142)	<i>Orchidaceae</i>	<i>Ophrys caucasica</i> (NE)	K	მთის შუა სარტყლ.მდე,ტყ ის პირებზე,ბუჩქნ. ღია ფერდობ.	I,II,III

CR - კრიტიკულ საფრთხეში მყოფი, EN - საფრთხეში მყოფი, VU - მოწყვლადი, NT - საფრთხესთან მიახლოებული, DD - არასაკმარისია მონაცემები ან ტაქსონომიურად სადავო სახეობაა, LC - უსაფრთხო, NE - არ არის შეფასებული.

ცხრილში. სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის ენდემებისათვის შემოგვაქვს აღნიშვნები: K-კავკასიის, Colch-კოლხეთის, G-საქართველოს, Imer-იმერეთის.

ენდემურ სახეობათა განაწილება მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში

ცხრ.3

უმაღლესი ტაქსონები	ოჯახი		გვარი		სახეობა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სულ:	35	100	81	100	142	100
<i>Dicotyledoneae</i>	29	82,9	74	91.4	134	94.3
<i>Monocotyledoneae</i>	6	17.1	7	8.6	8	5.7

შენიშვნა: პროცენტი გამოთვლილია იმერეთში გავრცელებული ენდემური ტაქსონების (ოჯახის, გვარის, სახეობის) საერთო რაოდენობებიდან


ენდემურ სახეობათა განაწილება ოჯახებში
ცხრ.4

№	ოჯახი	სახეობათა რაოდენობა	K	Colch	G	Imer
1	<i>Apiaceae</i>	11	7	3	4	-
2	<i>Asteraceae</i>	28	21	10	7	-
3	<i>Betulaceae</i>	1	-	1	1	-
4	<i>Boraginaceae</i>	4	3	-	1	-
5	<i>Brassicaceae</i>	5	4	2	1	-
6	<i>Campanulaceae</i>	11	3	6	8	2
7	<i>Caprifoliaceae</i>	8	6	-	2	-
8	<i>Caryophyllaceae</i>	2	2	1	-	-
9	<i>Celastraceae</i>	1	1	1	-	-
10	<i>Euphorbiaceae</i>	3	2	2	2	-
11	<i>Fabaceae</i>	9	7	2	2	1
12	<i>Fagaceae</i>	1	-	-	1	-
13	<i>Gentianaceae</i>	2	1	1	1	-
14	<i>Lamiaceae</i>	4	3	1	1	-
15	<i>Malvaceae</i>	1	-	-	1	-
16	<i>Orobanchaceae</i>	3	2	-	1	-
17	<i>Paeoniaceae</i>	3	2	2	1	-
18	<i>Plantaginaceae</i>	5	5	1	-	-
19	<i>Polygalaceae</i>	2	2	-	-	-
20	<i>Primulaceae</i>	2	1	1	1	-
21	<i>Ranunculaceae</i>	7	5	-	2	1
22	<i>Rhamnaceae</i>	1	-	1	1	-
23	<i>Rosaceae</i>	9	3	1	6	2
24	<i>Rubiaceae</i>	3	3	1	-	-
25	<i>Santalaceae</i>	1	-	-	1	-
26	<i>Scrophulariaceae</i>	2	1	-	1	-
27	<i>Solanaceae</i>	2	2	-	-	-
28	<i>Thymelaceae</i>	2	2	1	-	-
29	<i>Urticaceae</i>	1	-	1	1	-
30	<i>Alliaceae</i>	1	-	1	1	-
21	<i>Amaryllidaceae</i>	2	1	-	1	-
32	<i>Asparagaceae</i>	2	-	-	2	1
33	<i>Iridaceae</i>	1	1	-	-	-
34	<i>Liliaceae</i>	1	1	-	-	-
35	<i>Orchidaceae</i>	1	1	-	-	-

ცხვ.5

<i>Asteraceae</i>	28
-------------------	----


<i>Apiaceae</i>	11
<i>Campanulaceae</i>	11
<i>Fabaceae</i>	9
<i>Rosaceae</i>	9
<i>Caprifoliaceae</i>	8
<i>Ranunculaceae</i>	7
<i>Brassicaceae</i>	5
<i>Plantaginaceae</i>	5
<i>Boraginaceae</i>	4
<i>Lamiaceae</i>	4



დიაგრ. 2. სახეობათა სიმრავლით გამორჩეული ოჯახები

სახეობათა სიმრავლით გამორჩეული გვარებიდან აღსანიშნავია:

Campanula-10, Hieracium-4, Alchemilla-4, Anthemis-4, Cirsium-4, Heracleum-4, Thymus-4, Scabiosa-4;



დიაგრ. 3. სახეობათა სიმრავლით გამორჩეული გვარები


იმერეთის რეგიონის ფლორის ენდემური სახეობების სასიცოცხლო ფორმებია:

ხე-2, ბუჩქი-7, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე-111, ორი ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე-2, ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე-8, ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე-7, ერთი ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე-5

5.2. ენდემების გეოგრაფიული და ეკოტოპოლოგიური მიმოხილვა

იმერეთის ენდემური ფლორის გეოგრაფიულმა სტრუქტურამ შემდეგი სახე მიიღო:

ენდემური სახეობების საერთო რიცხვი -142. კავკასიის ენდემი 75 სახეობაა- 52,8%; საქართველოს 15 სახეობა-10,56%; კოლხეთის 43 სახეობა-30,28%; საკუთრივ იმერეთის ენდემი 9 სახეობა-6,33%.



დიაგრ. 4 . იმერეთის ენდემური ფლორის გეოგრაფიული სტრუქტურა

იმერეთის ენდემების გავრცელება ხდება სხვადასხვა ბიოტოპებში, ჰაბიტატებში ანუ იმ სამყოფელში და ეკოლოგიური პირობების ერთობლიობაში, სადაც ეს სახეობები იზრდება.

იმერეთის ფლორის ენდემები გავრცელებული არიან ძირითადად: მდინარეთა ხეობებში, ტყის პირას, ბუჩქნარებში, სხვადასხვა ტიპის ტყეებში მთის ქვედა, შუა და ზედა სარტყელში, სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, კირქვიან კლდეებსა და კლდე-ნაშალ ღორღიანებზე, დაჩრდილულ და დანაგვიანებულ ადგილებზე, მაღალბალახეულობაში.

მნიშვნელოვნად გამოვყოფთ კირქვიანების ბიოტოპებს, რადგან კირქვიანების ბიოტოპების ეკოლოგიური მრავალფეროვნება განაპირობებს მათ ფლორის ტულ სიმდიდრეს. ისტორიულ-კლიმატური პირობების ცვლილებისას სახეობის კონსერვაცია, როგორც ჩანს უფრო მეტად კირქვიან ეკოტოპებზე ხდებოდა (კოლაკოვსკი...1961:33).

5.3. იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონების ენდემური ტაქსონების მრავალფეროვნება.

საველე მასალების დამუშავების და მათი ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, ქუთაისის აწერეთლის უნივერსი-

ტეტის ჰერბარიუმისა და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოშობის ენდემების გავრცელების დეტალური ანალიზი. იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში ენდემების განაწილების კანონზომიერებანი გამოსახულია შესაბამის დიაგრამაზე.(დიაგრ.4.)

ენდემების განაწილება ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში:

I-კოლხეთის დაბლობის რაიონი(კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილი)-49 სახეობა .


II-ხვამლ-რაჭის ქედის და ასხის მასივის რაიონი(ხვამლ-რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობი და ასხის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი)71 სახეობა.

III-ოკრიბის რაიონი(ჩრდილოეთ იმერეთის მთისწინეთი)-68 სახეობა.

IV-ზემო იმერეთის პლატოს და ლიხის ქედის რაიონი-46 სახეობა.

(ზემო იმერეთის პლატოს და ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობები)

V-მესხეთის ქედის რაიონი(გურია-იმერეთის,აჭარა-იმერეთის, ახალციხე-იმერეთის ქედების მონაკვეთები)-16 სახეობა



დიაგრ.5. ენდემების განაწილება იმერეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ენდემების უმრავლესობა თავმოყრილია ხვამლ-რაჭის ქედის და ასხის მასივის რაიონში-28%; შემდეგ ოკრიზის რაიონში-27%; კოლხეთის დაბლობის რაიონში-20%; ზემო იმერეთის რაიონში-18%; მესხეთის რაიონში-6%.

იმერეთის კირქვიანების ლოკალური ენდემების შესახებ

იმერეთის კირქვიანების ფლორის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით ბოტანიკოსებს- ქ-ნ ლუბა კემულარია-ნათაძეს და ქ-ნ ალქსანდრა (შურა) ქუთათელაძეს. ა.ქუთათელაძეს ნაშრომში „იმერეთის კირქვიანების ენდემური მცენარეები“ აღნიშნული აქვს 14 სახეობა და 2 სახესხვაობა. ესენია:

1. *Ornithogalum imereticum D.Sosn.*-იმერული ძაღლნიორა
2. *Campanula irinae A.Kuthatheladze* -ირინეს მაჩიტა
3. *Campanula kemulariae Fomin.*-კემულარიას მაჩიტა
4. *Aquilegia colchica Kem.-Nath.*-კოლხური წყალიკრეფია
5. *Potentilla kemulariae Kapeller.*-კემულარიას მარწყვაბალახა
6. *Euphrasia kemulariae Juz.*-კემულარიას კორდისკბილა
7. *Scrophularia imerethica Kem.-Nath.*-იმერული შავწამალა
8. *Genista sachokiana A.Kuthatheladze*-სახოკიას კურდღლისცოცხა
9. *Polygonum imeretinum Koch.*
10. *Polygala nathadze A.Kuthath.*
11. *Veronica serpillifolia var. pumila Kem.-Nath.*
12. *Veronica imeretica Kem.-Nath.*
13. *Veronica kemulariae A.Kuthath.*
14. *Veronica galathica Boiss.*
15. *Galium valantioides var lanceolata Kem.-Nath.*
16. *Centaurea nathadze D.Sosn.*

ამ სახეობებიდან დღეისათვის საქართველოს ენდემებად (და იმერეთის ლოკალურ ენდემებად) არ განიხილება - *Veronica galathica Boiss.* და *Galium valantioides var lanceolata Kem.-Nath.*

Veronica galathica Boiss.- არის კავკასიის ენდემი ,რადგან საქართველოს გარდა აწერილია სასომხეთშიც.

Galium valantioides var lanceolata Kem.-Nath. -არის კავკასიის ენდემი,საქართველოს გარდა აწერილია სასომხეთში,აზერბაიჯანში და რუსეთში.

